ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 417

16 აგვისტო
"---"---------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შარტავას ქ. №1-ში (ს/კ. №01.10.13.015.114) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ინსის" (ს/ნ. 206278516) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისში, შარტავას ქ. №1-ში (ს/კ. №01.10.13.015.114) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ინსის" (ს/ნ. 206278516) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 აგვისტოს №24.1348.1508 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 22 ივლისის სხდომის ოქმის №9-ის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისში, შარტავას ქ. №1-ში (ს/კ. №01.10.13.015.114) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2023 წლის 8 ივნისი განკარგულება №23.828.918) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2023 წლის 9 ივნისი განკარგულება №269), ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ინსის" (ს/ნ. 206278516) მიერ შესასრულებელი ვალდებულება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში ჩაითვალოს შესრულებულად და ამავე განკარგულებით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 9 ივნისი განკარგულება №269) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე